საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	240 ECTS კრედიტი
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია სტუდენტისათვის ფსიქოლოგიის სფეროში ფართო ცოდნის მიცემა. სტუდენტი გააცნობიერებს ფსიქიკური სამყაროს შესწავლის განსაკუთრებულობას, რაც ,უპირველეს ყოვლისა, ფსიქიკის ამოუწურავ სივრცეში ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზების უსაზღვრო შესაძლებლობას იძლევა და ამ თვალსაზრისით შემეცნების არც ერთ სფეროს არ შეუძლია მას კონკურენცია გაუწიოს. ადამიანის ფსიქიკა, როგორც კაცობრიობის ცივილიზაციის საფუძველი კანონზომიერად აკავშირებს ფსიქოლოგიასთან ფსიქიკური შემოქმედებით წარმოქმნილი საქმიანობის ნებისმიერ სფეროს. ამრიგად ფსიქოლოგიის სასწავლო კურსების დაუფლება რეალურად აძლევს ფსიქოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულს დასაქმების ფართო ასპარეზს. სტუდენტის მიერ სწავლის პროცესში მიღებული ფსიქოლოგიური განათლება საკმარისი იქნება იმისათვის, რათა მაღალი კვალიფიკაციის ფსიქოლოგიის სპეციალისტების სუპერვიზიის პირობებში ფსიქოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულმა შეასრულოს ფსიქოლოგიური პრობლემების ინტერპრეტაციის, განმარტები ს, ნებისმიერი საქმიანობის, შრომისა, თუ სოციალური სტრუქტურის მქონე ორგანიზაციის შემადგენლობაში ურთიერთობათა სრულყოფის დავალებები. გადაჭრას ფსიქოლოგიური დახმარების, მხარდაჭერის, კონსულტირების, ინტერვენციის სამუშაოებთან დაკავშირებული ამოცანები.
სწავლის შედეგები	.შეუძლია ფსიქოლოგიური მდგომარეობების, ფაქტების, მოვლენების, კანონების, კანონზომიერებების, მექანიზმებისა და პრობლემების გარკვევა, ინტერპრეტაცია, ფსიქოლოგიური ხასიათის ინფორმაციის შეგროვება, თავმოყრა, გაანალიზება, სისტემაში მოყვანა, გამოყენება; შეუძლია სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ფსიქიკურ აშლილობათა დიაგნოსტირებაში, ინტერვენციისა და კონსულტირების ტაქტიკის შემუშავებაში და განხორციელებაში.
შეფასების წესი	საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასების სისტემა გულისხმობს ა) ა.შუალედურ შეფასებებს-60 ქულა; ბ.დასკვნითი გამოცდის შეფასებებს - 40 ქულა. ა) შუალედური შეფასებები თავის მხრივ მოიცავენ სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, ყოველდღიურ აქტიურობას, მუშაობას ჯგუფში, რომლის მაქსიმალური შეფასება 40 ქულას უდრის. შუალედურ შეფასებებს მიეკუთვნება აგრეთვე მიმდინარე 1 შუალედური

	გამოცდა, რომელიც 20 ქულით ფასდება. ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასება - 40 ქულა. შეფასების მეთოდებიდან ძირითადად გამოიყენება: შუალედური და შემაჯამებელი ტესტები, (როგორც დახურული, ასევე ღია კითხვებით), ესე, ზეპირი პრეზენტაციები, შემაჯამებელი გამოცდა, შემთხვევის ანალიზი და სხვა. არსებობს ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება. დადებითი შეფასებებია: ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81- 90%; გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; უარყოფითი შეფასებებია: ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი "ჩაიჭრა" შეფასებას ღებულობს აგრეთვე: ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე; ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე. სტუდენტი ვალდებულია მიმდინარე შეფასებებში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება. სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების 50%. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ დაიშვება დასკვნით გამოცდაზე. დასკვნით გამოცდაზე 20 ქულაზე ნაკლების მიღების შემთხვევაში სტუდენტი ითვლება ჩაჭრილად.
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი გურამ ჩაგანავა **ტელ**: 899-67-31-56